№ 95
პარასკევი, 6 მაისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 95
პარასკევი, 6 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 მაისს.**

მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთა და პატივის-მცემელთ ახალგაზდა ნიჭიერის მწერალის **ეგნატე თომას ძის ინგოროყვას (ნინოშვილის)** გარდაცვალებასა და ვსთხოვთ მობრძანდნენ კვირას, 8 მაისს, დილის 9 საათზე, ჯუმათის რკინის გზის სადგურის მახლობელ სოფ. ჩანჩეთში განსვენებულის გვამს, სოფლის ეკკლესიაში მისასვენებლად. (2—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
**დანიშნულია 8 მაისს.**

თუ ამინდი არ ევარგება, ლატარია-ალეგრი 15 მაისისათვის გადაიდება.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს** ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა **საგანგებო კრების** სხდომის განგრძობა დანიშნულია 6 მაისს, პარასკევს, საღამოს ექვსს საათზედ, სათავად-აზნაურობა·ნკის დარბაზში. (2—2)

### შემოწირულებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ლატარია-ალეგრის სასარგებლოდ კიდევ შემოსწირეს:

თამარ დავითის ასულმა ქართველიშვილისამ თერთმეტი ძვირფასი ნივთი.

პელაგია სვიმონის ასულმა ფორაქაშვილისამ ვერცხლის თეფში ოქროში დაფერილი სევადით და ოქროს საყურეები ფირუზისა.

ბარბარე ცაგარლისამ სამი ნივთი.

ქ-ნმა იონათამოვის ასულმა ორი გიდელა წერილებისა.

ბ-ნ გიორგი წერეთლის ასულმა კაკლის ნესესერი, „რქა სიუხვისა“.

ვაჰარ ალიბეგოვისაგან ორი მაღალი ცისფერი ვაზა,

ხელთუბნის სასწავლებელმა თორმეტი ქისა, ოთხი ყმაწვილების ფეხსაცმელი, ერთი წყვილი ნაქსოვი ჩექმა, ორი თასაკრავი, ოთხი პირსახოცი, ორი ქუდი, სამი თავზედ მოსახვევი, ერთი სურათების ჩარჩო, ერთი წყვილი ჩულქები, თეთრი ნაქსოვი სარტყელი, ერთი პერანგის გულისპირი, ორი ბალიშის არშია, ორი ბალიში ქინძისთავებისა და ჭრელი წინდა.

ალექსანდრე გაბრიელის ძე ყარაევმა—სამი ნივთი.

კახეთის მემამულეთა ამხანაგობამ—ოც-დაათი ბოთლი ღვინო.

მარიამ ალექსანდრეს ასულმა ვაწაძისამ—ორი ვაზა და ერთი ჩაიდანი.

ქ-ნმა ეფემიან ჩოლახოვისამ ორი ვაზა.

ბ-ნმა აბრამ ელიზბარიშვილმა პირსახოცი, საპნები, დუხი და სხვა წვრილი ნივთები.

მარიამ პეტრიაშვილის ასულმა კედელზედ ჩამოსაკიდი გიდელა.

ანნა პეტრიაშვილის ასულმა კედელის პორტფელი.

## ახალი ამბავი

*** ნაძალადევლების საქმე ჯერ კიდევ დაუბოლოვებელია. როგორც გვიამბეს, სამშაბათს, 3 მაისს, საღამოზედ ქალაქის მოურავი ბ-ნი იზმაილოვი ყოფილა ამ უბანში და გამოუცხადებია ხევ გამოღმა მოსახლე 42 კომლისათვის, რომელთაგან 6 რუსია, 1 სომეხი, ხოლო დანარჩენი ქართველობა, რომ საპჰომ გადასწყვიტა, ეგ ადგილები საუფლისწულო უწყებას დაუთმოს, თქვენ-კი ძირს ვაკეზედ მოგეცემათ ადგილი საჟენი ექვს-ექვს შაურადაო. თითო სახლობისათვის 90 საჟენია გადადებული, პარასკევს, ექვს მაისს, კენჭს გიყრით და ვისაც რომელი ადგილი მიწვისა დაეთმობა, იმას მივცემთო. ხევს გაღმა დასახლებულთა საქმეს-კი შემდეგ გადავწყვეტთო. ნაძალადევლებმა დიდი უკმაყოფილება განაცხადეს ამ ქალაქის მოურავის მიერ ნათქვამ სიტყვების გამო.

*** მოსკოვის სეტყვისაგან დამზღვეველ საზოგადოების ინსპექტორს განცხადება მოუვიდა 500,000 მან. ვენახების დაზღვევისა. ამ ინსპექტორმა მიჰმართა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა, ნება დამრთეთ საწევრო ფული მივიღო თქვენის საზოგადოების სადგომში და, ამას გარდა, ამოირჩიეთ ისეთნი კაცნი, რომელთა აგენტებად დანიშვნაც შესაძლებელი იქნებაო. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შესაძლებლად დაინახა დაეკმაყოფილებინა ინსპექტორის პირველი თხოვნა, მეორე თხოვნის გადაწყვეტა-კი გადასდო. ამას გარდა, გადაწყვეტილ იქმნა ამოირჩიოს კომისია და ამ კომისიას მიანდოს იმ ღონისძიებათა აღნიშვნა, რომელნიც ხელს მოუმართავენ სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების განყოფილების ჩვენში დაარსების საქმეს. ამ კომისიის წევრებად დასახელებულ იქმნენ: თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, თ. ლ. ჯანდიერი, თ. ი. ზ. ანდრონნიკაშვილი, პ. ი. ყიფიანი, ს. ა. ვერმიშევი, ი. ნ. კლინგენი, ვ. დ. ინანაშვილი, ა. ს. ფირალოვი და თავ. ა. რ. ვახვახიშვილი („Тиф. Лис.“).

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ე სწერს კახეთის რკინის გზის შესახებ. ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა, რომ ხაზინა თავმდებობას ვერ გაუწევს კერძო ამხანაგობათ და აგრეთვე თავად-აზნაურობასაც კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეშიო. ამასთან ჩვენ გავიგონეთო, ამბობს გაზეთი, რომ, ფინანსთა სამინისტროს აზრით, ამ გზის გაყვანა მთავრობამ უნდა იკისროს თავისის ხარჯით, თუმცა-კი ვადა არა აქვს დანიშნული, როდის მიჰყოფს მთავრობა ამ საქმეს ხელსა,

*** ამას წინად უმართებულესმა სენატმა განიხილა პირველ აღძრული საგანი და დიდად მნიშვნელოვანი საგანი სახელმწიფო სამსახურში მყოფ ქალების პენსიის შესახებ. „Юридическая Газета“ სწერს, რომ პენ-

## ფელეტონი

### მკვიდრთა მიმართ გერნსისათა*)

(სიტყვა ვიქტორ ჰუგოსი)

გერნსის მკვიდრნო! თქვენს წინაშე სდგას სამშობლოდამ განდევნილი კაცი, რომელიც ხელს აწვდის სამარეში მყოფ კაცს. არ ჩათვალოთ ეს ურიგო საქმედ და მომისმინეთ, რაცა ვსთქვა.

სამშაბათს, 18 ოქტომბერს 1853 წლისას ერთი კაცი, სახელდობრ ჯონ-შარლ ტანერი ქალბატონ სოჟანთან მივიდა ღამით და მოჰკლა ის; შემდეგ გაძარცვა. ბოლოს გვამი მიცვალებულისა და სახლი დასწვა იმ იმედით, რომ პირველ დანაშაულს დაჰფარავს კვამლი მეორე დანაშაულისაო. მაგრამ შესცდა. დანაშაულის აგრე მიფუჩეჩება არ შეიძლება. სახლის დაწვამ მკვლელობას ვერ დააფარა ხელი. განგება დამნაშავეთა შემნახავი როდია—მან გამოაშკარავა კაცის მკვლელი.

ტანერის საქმეთა გარჩევამ განსაცვიფრებელი სხივი მოჰფინა რამდენსამე სხვა ბოროტ-მოქმედებას. ამ ცოტა ხანში ამ კუნძულზე ბევრ სახლს წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ დამნაშავე მიჩქმალული იყო. გუმანი მიტანილ იქმნა ტანერზე და ცხადადაც სჩანდა, რომ ამ დანაშაულთა ჩამდენი 18 ოქტომბერს ადამიანის სისხლში მოსვრილი ბოროტ-მომქმედი იყო.

ამ კაცს ასამართლებდნენ, ასამართლებდნენ მიუდგომლად, კეთილ-სინიდისიერად, რაიცა დიდი ქება და სახელია პირუთვნელ და თავისუფალ სამსჯავროსათვის. ცამეტი სხდომა მოანდომეს საქმეთა განხილვა-გარჩევას: 3 იანვარს ერთხმად შეადგინეს განაჩენი. საღამოს 9 საათზედ სასამართლოს თავმჯდომარემ საზოგადო და დიდებულ სხდომაზედ მღელვარების გამო აცახცახებულის ხმით, გამოაცხადა, რომ, რადგანაც „კანონი კაცის მკვლელს სიკვდილით სჯის“, ამიტომ ჯონ-შარლ ტანერი უნდა ნოემზადოს სასიკვდილოთ; 27 იანვარს მას ჩამოარჩობენ იქ, სადაც ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა და ამ ნაირად სადაც მან მოჰკლა ადამიანი, ისიც მოკლულ უნდა იქმნას იქვე.

და აი, ამ წამში ჩვენ შორის და თქვენ შორის იმყოფება ისეთი კაცი, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანისთვის საიდუმლოებით მოცულს მომავალში, ცხადად ხედავს თავის სიცოცხლის უკანასკნელ საათს; ამ წამში, როცა თითოეული ჩვენთაგანი თავისუფლად სუნთქავს, თავისუფლად მიდი-მოდის, თავისუფლად ლაპარაკობს და იღიმება, ამ წამში რამდენსამე ნაბიჯზედ ჩვენგან—ვული მიკვდება ამის წარმოდგენით—საპყრობილეშია ერთი კაცი, რომლის გული და გონება მიქცეულია ამა თვის ერთ დღეზე, 27 იანვარზე. ეს საშინელი ლანდი თანდათან დიდდება და უახლოვდება მას. ეს დღე, რომელიც ჩვენთვის დაფარულია, როგორც ყველა სხვა მომავალი დღე, უბედურ პატიმარს პირდაპირ უცქერის შიგ ბნელის სიკვდილის სახითა. გერნსის მკვიდრნო! ტანერს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა. თქვენის კანონ-მდებლების წინაშე სასამართლომ თავის მოვალეობა შეასრულა, მაგრამ ფრთხილად უნდა მოექცეთ მაგ მოვალეობას. ეს ნაცვალ-გებაა, სამაგიეროს გარდახდაა. მკვლელობა ჩაგიდენია, შენც უნდა მოგკლან. კაცობრიობის სჯულ-დების წინაშე ეს სამართლიანობაა, წინაშე ღვთისა-კი საშინელებაა.

ბატონებო, როცა საქმე ადამიანის ხელ-შეუხებლობას შეეხება, მაშინ არაფერი წვრილმანი და უანგარიშო არ არის. განათლებული კაცობრიობა გთხოვს თქვენ სიცოცხლეს მაგ კაცისას.

მე თუმცა არაფერი ვარ, მაგრამ დიდ რამედ ყოფნაა განა საჭირო, რომ შეწყალება და მიტევება ითხოვოს კაცმა! ლა—მანშის კუნძულთა მოსახლენო! ჩვენ, საფრანგეთიდამ განდევნილნი ვცხოვრობთ თქვენ შორის და დიდ სიყვარულსა ვგრძნობთ თქვენდამი. ცის დასალიერზე ვხედავთ თქვენ ხომალდთა იალქნებს, ბურუსსა და ტალღებში და ვლოცულობთ მათთვის, ვაკურთხებთ მათ. ჩვენ ძმები ვართ თქვენი, პატივს გცემთ და გეკრძალებით. ჩვენ ქედს ვიხრით თქვენის შრომის, თქვენის მამაცობის, თქვენგან ზღვაზე გატარებულ ღამეების, თქვენ მესაჭეთა დაბადებულ ხელების და თქვენ მხვნელ-მთესველთა მზისგან დამწვარ პირისსახის წინაშე. ქედს ვიხრით წინაშე საფრანგეთისა, რომლისაც ჩვენ შვილები ვართ და თქვენ შვილი-შვილები. ქედს ვიხრით წინაშე ინგლისისა, რომლისაც თქვენ მოქალაქენი ხართ, ჩვენ-კი სტუმარნი.

და აი, როცა თქვენ კერასთან ვზივართ, გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რამდენისამე სიტყვით მეგობრული დახმარება გაგიწიოთ და მით სამაგიერო პატივისცემა გარდაგიხადოთ თქვენის სტუმარ-მოყვარეობისათვის. ნება გვიბოძეთ, შევწუხდეთ ყველა იმის გამო, რასაც შეუძლია დააბნელოს თქვენი ტურფა მხარე.

წყალში მყვინთავი დაიძირება ზღვის უფსკრულში და ამოაქვს იქიდამ ერთი პეშვი ქვიშა. ჩვენ-კი ტანჯულნი, ფიქრ-აზროვნების კაცნი დავინთქმით საქმეთა ვითარების სიღრმეში, ვცდილობთ მივუახლოვდეთ ღმერთს და მოგვაქვს იქიდამ ერთი პეშვი ჭეშმარიტება.

ამ ჭეშმარიტებათა შორის პირველი ის არის, რომ „არა კაც ჰკლა“.

ეს სიტყვა უცილობელია, არავითარი განმარტება არ უნდა. ის იყო წარმოთქმული როგორც კანონისათვის ისე ცალკე ადამიანისათვისაც.

გერნსის მკვიდრნო, მოისმინეთ, რასაც გეუბნებით. არის სასტიკი, ტრაგიკული, ულმობელი ღვთაებები წარმართთა, ამ ღვთაებას ებრაელნი უწოდებდნენ მოლოხს; ხოლო კელტებიტეუტატესს, ახლა-კი სიკვდილით დასჯას ეძახიან მას. ერთ დროს აღმოსავლეთში იმის მღვდელ-მთავრად მოგვი იყო, დასავლეთში—დრუიდი, ეხლა-კი ამ ღვთაების მღვდელ-მთავრად ჯალათი დაუდგენიათ. ერთ დროს იმის მსხვერპლით მოფენილი იყო მიდამო თქვენის კუნძულისა. მან დასტოვა თავის საშინელი კვალი თქვენის გორაკების საღამოს ნიავისაგან ნარწყაე ბალახთა შორის ნახევრად ჩაფლულის ქვების სახითა. მაგრამ საუკუნეთა ჟანგმა შესჭამა და წარხოცა ჟანგი ადამიანთა სისხლისა. ამ ჟამად ეს უცნაური კერპი ხელახლა უნდა გაჩნდეს თქვენში და უნდა დააბნელოს განთიადი ახალის წლისა. მას აუმაღლებია თავისი საშინელი ხმა და გეუბნებათ, დამმორჩილდით და თაყვანი მეცითო. ამა-და-ამ დღეს ისევ ძველებურად მოიყარეთ თავი ჩემის საიდუმლოს სადღესასწაულოდო. მერე ვის ეუბნება ამას? თქვენ, ბატონებო, თქვენ, რომელთაც სახარება გიკითხავთ და რომელთა თვალნი გოლგოთისაკენაა მიქცეულნი. თქვენგან თხოულობს მსხვერპლს ადამიანის სიცოცხლისას. განა დაემორჩილებით მას? განა ხელახლა წარმართნი გახდებით და ადამიანის სისხლს დაღვრით? წარმართნი გახდებით და ადამიანის სულს დაჰღუპავთ? წარმართნი გახდებით და ისე გაჰქელავთ დამნაშავის ბედს, რომ ცოდვათა შენანების დროს აღარ მი-

*) ლა-მანშის კუნძულებზედ, სადაც 1854 წ. ვიქტორ ჰუგო, საფრანგეთიდამ განდევნილი ცხოვრობდა, ერთ კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ჰუგო გამოესარჩლა სიკვდილით დასასჯელს ზემო მოყვანილის სიტყვებით.

სიის მიღების უფლება მიანიჭა იმ ქალებს, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში შტატის თანამდებობაზედ იქმნებიან და საპენსიო ვადასაც შეასრულებენო.

*** ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მოთხრობა არა-მწერალისა (ამ წლის „ივერია" № 52) „ხანჯალი", რომელიც შემდეგ „Нов. Обоз."-შიაც დაიბეჭდა ბ-ნ «—ზბ—» ფსევდონიმით რუსულს ენაზედ, ფრანგულად გადმოუთარგმნიათ და დაბეჭდილია ბუდაპეშტის გაზეთ Revue d'Orient"-ის უკანასკნელს №-ში.

*** გორი: ამ თვის სამს გაჩერდა თუ არა მატარებელი გორის სადგურზე, კნეინა გურიელისა გადმოვიდა საქალებო ვაგონიდგან, საუზმის მისართმევად ბუფეტში; ამ დროს ვიღაცა ბოროტ-მოქმედს დაუვლია ხელი კნეინას ბარგისთვის და წაუღია. ავიდა კნეინა ვაგონში და მატარებელიც დაიძრა. მხოლოდ მაშინ შენიშნა კნეინამ, რომ მათი ბარგი აღარა სჩანს. კნეინა გურიელმა ეს ამბავი სკრის სადგურზედ სადგურის უფროსს გამოუცხადა. გაიგზავნა აქეთ-იქით დეპეშები, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ ქვეყანამ კნეინას ბარგი, ჯერ-ჯერობით კვალი ვერ მიუკვლევიათ.

*** სოფ. გეხის-ჯვარი (გორის მაზრა): აპრილის შუა რიცხვიდგან მშვენიერი დღეები დაგვიდგა; ყანები ისრე მშვენივრად აბიბინდნენ, რომ ავის თვალით არ ინახვიან; იმედი გვაქვს, რომ წრეულობით მშვენიერი მოსავალი მოგვივა, თუ შემდეგში ჰაერმა არ გვიმტყუვნა. ხეხილიც ძლიერ მოაქვს. ხალხის საღიანობაა,

*** ს. ატოცი (გორის მაზრა): ამისთანა მდიდარ სოფელში, როგორიც ატოცია, სკოლა არ არსებობს. გინდაც ადგილობრივ მცხოვრებლებს თავიანთ ხარჯით არ გაემართნათ სკოლა, ეკლესიას იმდენი შემოსავალი აქვს, როგორც სჩანს შესავალ-გასავალის წიგნიდგან, რომ ყოველ წლივ ოცს და ხან მეტს თუმანსაც ინახავენ სინოდის კანტორაში. ძრიელ საჭიროა ამ სოფელში სამრევლო სკოლის დაარსება მაინცა მით უფრო, რომ აქაური მცხოვრებნი დიდათ მოწადინებულნი არიან.

## დამაკვირდი

ნეტარნი მათ, რომელნიც მარტო-კი არ არსებობენ, ცოცხლობენ კიდეც.

შმიდტი

**

ბედი ბრმა იმასა ჰგონია, ვისაც არა ჰღირსებია მისი ალერსი.

ლაროშფუკო

* *

კიდევ ცოტაც—და ყველას დავივიწყებ!
კიდევ ცოტაც—და ყველანი დამივიწყებენ.

გეტე

## კორესპონდენცია

**სოფ. დიღომი** (ტფილისის მაზრა), 2 მაისს. ისეც შეწუხებულს და გაჭირვებულს დიღმელებს ვერაფერი დღე გაუთენდათ 30 აპრილს, ასე ნაშუადღევის 2 საათზედ, შემდეგ ხანგრძლივის ქუხილისა, მოსკდა უცბად საშინელი ღვართქაფი, მოჰყვა ზედ სეტყვა და მთელი ორი საათი განუწყვეტლივ იწვიმა და ირეგვა აქაურობა. ორი საათის შემდეგ, როგორც იყო, გადიღო წვიმამ და შესწყდა სეტყვის დენაც, მაგრამ საზარელი სურათი წარმოუდგა ყველას თვალწინ. სოფლის გზებზედ და ორღობეებში საშინელი ნიაღვარი მოდიოდა, მთის პატარა ხევებიც აღელდა და მოედო ჰირნახულით სავსე მინდორს და ძლივს-ძლიობით ქარს გადარჩენილი ჯეჯილები სულ წალეკა. ეს აღელვებული ნიაღვრის წყალი, სადაც-კი მოჰხვდა ბარად ნახნავს, ხომ სრულებით წალეკა და ლამით დაჰფარა ჯეჯილები, ხოლო თუ პატარა სერიანზედ შეჰხვდა ნახნავს, არამც თუ წალეკა, არამედ ქვედა-პირამდისინ მიწიანად წაიღო თანა.

ეს კიდევ არაფერი, დაწყებული ვეძისის ბოლოდამ, რომელიც სულ 3-4 ვერსის მანძილით არის მოშორებული დიღომზედ, ვიდრე თდ. ივ. მუხრანსკის სასახლემდე — დიღმის სოფლის ბოლომდე—მთელის დიღმის ვენახები ისე გაჰხადა, რომ გეგონებოდათ თებერვალია და არა აპრილი, როცა, როგორც ხეხილი, ისე ვაზი, საუცხოვოდ არის ფოთლით დაფარული. იმ ვენახებს, რომელნიც დიღმის ხევის პირზედ მდებარეობენ, რაც სეტყვამ დააკლო, ის მახლობელ სერებიდამ მოვარდნილმა წყლებმა შეუსრულა ჲ ქვითა ჲ ღორღით ისე გადათელა, რომ ძნელია ამ რამდენისამე წლის განმავლობაში არსებაში მოვიდეს.

აი რა ზარალი მიეცათ დიღმელებს, როგორც გამოიკვლია ტფილისის მაზრის ვაჭრობისაგან დანიშნულმა მოხელე ბ-ნმა გვარამაძემ. სეტყვისაგან დაზარალებულ, ვენახების შუათანა მოსავალიც რომ ავიღოთ ვედრო ღვინო ადგილობრივ 1 მ, 25 კ. დავაფასოთ, გამოვა 28, 000 მანეთი; მინდვრების ზარალიც აღემატება 8000 მანეთს, სეტყვისაგანვე დაზარალებულ ხეხილიც 3000 მან. სათიბი მინდორი რომელიც გარდა სეტყვისა, ნიაღვარმაც ძრიელ დააზარალა, დაფასდა 1, 200 მან. ამავე დროს როგორც დიღმის ხევმა, აგრეთვე მთის ნიაღვრებმა გაიტაცეს და დაახრჩეს 31 სული შინაური ოთხფეხი საქონელი, რომელიც ორთა შუა დაფასებით აღემატება 700 მან. სულ ერთად რომ შევკეცოთ, გამოვა 41,100 მან. ზარალი, თუ ვეძისის დაზარალებულს ჰირნახულსაც ზედ დაუმატებთ, რომელიც დიღომის სამამასახლისოში ირიცხება და რომლის ზარალიც აღემატება 3,000 მან., აღმოჩნდება, რომ დიღომს და ვეძისს ერთად მოსვლიათ ზარალი სულ 44,100 მან.

თუ მივიღებთ ახლა მხედველობაში იმასაც, რომ სოფელს დიდი ყოველ-წლიური ხარჯი აწევს. ადვილად მიხვდებით, რა გაჭირვებაშიაც ჩაცვივიან წლევანდელ წელიწადს დიღმელები, თუ რაიმე დახმარება და შველა არ აღმოუჩინა ან ადგილობრივმა, ან უმაღლესმა მთავრობამ.

წლევანდელი საკომლო სახელმწიფო ხარჯი, „ოკლადნოი ლისტით", შეწერილია დიღმელებზედ 3,503 მ. 96 კაპ. ამ ფულს ზედ დაერთობა ხოლმე მთელის წლის წვრილმანი ხარჯიცა, მაგალით., მწერლის ჯამაგირი, ყარაულების ჯამაგირი, მღვდელთათვის მისაცემი პური—ფულად, კოდი 2 მან., მაღაზიის შესატანი პური კომლზედ ან სამი ფუთი ხორბალი ან 3 მანეთი, ხარჯის ამკრეფთა ჯამაგირი ე. ი. სიაში ჩატანებული ასაკრეფი ფული, მერუეების და მეველეების ჯამაგირი, სანიტარების და მთელის წლის განმავლობაში ბეგარა, რომ ფულად ვიანგარიშოთ მაშინ ყოველივე ესე ერთოთ შეადგენს 4595 მ. 94 კაპ., რასაკვირველია ამავე ხარჯს მიემატოს წარსული წლების ნედოიმკაც, რომელიც დარჩენილია სოფელზედ და რომელნიც შეადგენს 400 მ. ხარჯის ფულს და 836 მაღაზიისას სულ უნდა გარდაიხადოს მაშასადამე წელს სოფელმა 9, 385 მან., 30 კაპ.

მეთვალყურე

## მშობელთა და აღმზრდელთა საყურადღებოდ.

(შემდეგი *)

თვალების მოვლა.

1. არ იკითხო, არა წერო და საზოგადოდ არც იმუშაო ბინდ-ბუნდზედ ანუ როცა კარგი სინათლე არ არის.

2. მუშაობის დროს ისეთი ადგილი ამოირჩიე, რომ ფანჯარა შენზე მარცხნივ რჩებოდეს და ცის პატარა ნაჭერიც მოსჩანდეს. მზის სხივები პირდაპირ შენს სამუშაოს არ უნდა ჰხვდებოდეს

3. ლამპარს ნუ გაუკეთებ ნურც ბნელს და ნურც ნამეტნავად მხიარულის ფერის აბაჟურს. იგი ოდნავ მარცხნით დაიდგი, ასე 11 გოჯის მანძილზე; მოციმციმე სინათლეზე მუშაობა ძრიელ მავნებელია თვალებისათვის, აგრეთვე არ ვარგა კითხვა ეტლში, მატარებელში ანუ ლოგინში, როცა სწევხარ.

4. ლამპარს, რომელსაც შენ ჰხმარობ შრომის დროს, უნდა ჰქონდეს ცილინდრის გვარად მოყვანილი შუშა და ფარფორის ბურთი-

5. სწერე სქელი შავი მელნით გარკვეულს ხაზებზე; მიეჩვიე, რაც შეიძლება ჩქარა, უხზოდ წერას; ტრანსპარანტებს ნუ იხმარ.

*) იხ. „ივერია", № 94.

---

სცემთ? არა, ამას არ მოველი თქვენგან. ნუ თუ ეს პროგრესი იქნება? როგორ დაქვეითებულა კაცობრიობა, თუ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა კიდევ შესაძლებელ ყოფილა? ნუ თუ გერნსში კიდევ კერპთ თაყვანმცემლობაა? ნუ თუ კიდევ ემსახურებიან კაცის მკვლელ კერპს და დაუვიწყებიათ ღმერთი შემქმნელი და დამბადებელი კაცისა!

განა ასე ძნელი და შეუძლებელია, რომ სიკვდილით დასასჯელს სასჯელი შეუმსუბუქდეს, რომ ცოდვათა შენანების დრო მიეცეს, რომ ადამიანის სიცოცხლის გაქრობის ნაცვლად ცოდვათა სინანულით განბანა მოხდეს! განა არ შეიძლება ადამიანის სისხლის დაუღვრელობა! ნუ თუ ნავი ცხოვრებისა ისეთ განსაცდელშია, რომ ერთი კაცი მეტი ბარგი დარჩა მისთვის? ნუ თუ ერთი მონანული ცოდვილი იმდენად აძძიმებს ადამიანთა საზოგადოებას, რომ აღარავითარი ხსნა არ არის, თუ ეს ერთი კაცი არ მოშორდა საზოგადოებას და არ დაინთქა უფსკრულსშინა წყვდიადისასა?

გერნსის მკვიდრნო! სიკვდილით დასჯა ეხლა ყოველგან ისპობა და დღითი დღე ჰკარგავს ნიადაგს; ადამიანის გრძნობა-გონებაში ის ადგილს ველარ პოულობს. 1830 წ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ერთხმად მოითხოვა იმისი გაუქმება. 1848 ფრანკფურტში ამოფხიკეს ის კანონმდებლობიდამ. 1849 წ. რომში აღმოკვეთეს. ასე გასინჯეთ, კათოლიკობით გამსჭვალულმა ტოსკანამაც შესცვალა ის. როგორც ხედავთ ამას იქით სიბნელეც ველარ მოთავსებულა მასთან და ნუ თუ თქვენ, მკვიდრნი ამ კურთხეულის ქვეყნისა შეურიგდებით მას?

თქვენზეა დამოკიდებული, რომ გერნსში სიკვდილით დასჯა მოისპოს; თქვენზეა დამოკიდებული, რომ 27 იანვარს კაცი არ იქმნას ჩამოხრჩობილი; თქვენზეა დამოკიდებული, რომ ეს საზარელი სანახავი, რომელიც თქვენს მშვენიერ ცას შავის ლაქებით შეღებავს, არ მოხდეს.

თქვენი თავისუფალნი დაწესებულებანი ყოველ ღონისძიებას გაძლევს თქვენ, რომ ეს საღმრთო და დიდებული საქმე აღასრულოთ. შეკრბით წესისამებრ და ააღელვეთ საზოგადოების გული, გაადვიძეთ საზოგადოების აზროვნება და სინიდისი. მთელის კუნძულის მკვიდრთ შეუძლიათ ამ საქმეში გარევა—შეუძლია-კი არა ვალდებულია გაერიოს. ეს ისეთი საქმეა, რომლის შესახებ ცოლები ქმრებს უნდა არწმუნებდნენ, შვილები მამებს უნდა ევედრებოდნენ; ხოლო მამები თხოვნას უნდა ადგენდნენ, რომ დამნაშავისათვის მიტევება გამოითხოვონ. მიიქეცით თქვენ უფროსთა, თქვენ მსაჯულთა წინაშე და გამოითხოვეთ დასჯილისათვის სასჯელის შემსუბუქება. გარწმუნებთ, რომ თქვენი თხოვნა გასჭრის.

ისწრაფეთ, ნუ დაახანებთ ნურც ერთ დღეს, ნურც ერთ საათს, ნურც ერთ წამს. გაითვალისწინეთ და გონებაში ატარეთ საზარელი სურათი 27 იანვრისა. დეე მთელის კუნძულის ყველა მკვიდრმა ისე თვალოს თითოეული წამი, როგორიც ის, სიკვდილით დასასჯელი სთვლის.

კარგად იფიქრეთ, რომ მას შემდეგ რაც სასიკვდინე განაჩენი გამოცხადდა, ტაკი-ტუკი, რომელიც ისმის თქვენის საათებიდამ—ეს გულის ძგერაა იმ სვე-უბედურისა!

შეიძლება მაგალითი გინდათ? გეტყვით იმასაც. 1851 წ. ჯერსეკის კუნძულზე ჟაკ ფუკემ მოჰკლა დერბისირი. ჟაკ ფუკე ნაფიც მსაჯულთა მიერ ორჯერ ზედი-ზედ დამნაშავედ იყო ცნობილი. 27 აგვისტოს 1851 წ. სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. ამაზედ მთელი კუნძული აღელდა და აბობოქრდა. შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც 1600 კაცი დაესწრო. შეადგინეს თხოვნა და ითხოვეს პატიება დამნაშავისათვის. 23 სექტემბერს კიდევაც გამოუცხადეს ფუკეს პატივება. ამნაირად ის ეხლაც ცოცხალია და სინანულშია.

რა პასუხს მოგვცემს ყოვლისავე იმის შესახებ სარჩობელა? ის რაც, შეიძლეს ჯერსეის მკვიდრთ, შეუძლიანთ გერნსის მკვიდრთაც. რასაც ეღირსნენ პირველნი, ეღირსებიან მეორენიც.

ეგებ სთქვან, რომ 18 ოქტომბრის ბოროტ მომქმედის შესახებ სიკვდილით დასჯა სამართლიანიაო, რომ ტაპნერის დანაშაულობა დიდიაო, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენადაც დიდია დანაშაულობა, იმდენად მეტი დრო უნდა მიეცეს დამნაშავეს ცოდვათა მოსანანიებლად.

იმან, ვისაც ჩვენ ვესარჩლებით, ქალი მოჰკლა ულმრთოდ, უმიზეზოდ; სახლი გაჰქურდა, და დაწვა. ამას გარდა, ბევრი სხვა გულის შემზარავი ავკაცობა ჩაიდინა, ისეთი ავკაცობანი და ბოროტ-მოქმედებანი, რომელთა გამოსყიდვა და სინანულით განბანა თხოულობდა დიდის ხნის გასწორებას, დიდის ხნის სასჯელს დამნაშავისას დანაშაულობათა სიმძიმეს ქვეშ. ხოლო ყოველივე ეს ერთ დღეს, 27 იანვარს უნდა გათავდეს. ამ დღეს ამართული იქმნება სარჩობელა, გამობარყუჟებული თოკი კისერში წაეჭირება ადამიანს და უბედურს გვამს გმინვითა და გოდებით გაეყრება სული.

აი რამდენად სულ-მოკლე და უგნურია მართლ მსაჯულება ადამიანისა!

მაგრამ არა, ჩვენ ვართ შვილნი მეცხრამეტე საუკუნისა, ჩვენ ვართ ერი მოაზრე, დარბაისელი, თავისუფალი, გონიერი, მშრომელი და ძლევამოსილი. ჩვენი საუკუნე საუკეთესოა კაცობრიობის საუკუნეთა შორის. ეს არის ეპოქა პროგრესისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, სიყვარულისა იმედისა და ძმობისა. მაშასადამე, ჩვენთან რა ხელი უნდა ჰქონდეს ეშაფოდებს. სასიკვდინე იარაღნი კუთვნილებაა წარსულისა და რა უფლებით უნდა დაგვენახონ მეცხრამეტე საუკუნის მზიან დღეში! არა, ეს ლანდია, მოჩვენებაა. ესენი არიან შვილნი სიბნელისანი და უნდა დაუბრუნდნენ სიბნელეს. განა სიბნელეს შეუძლია ხელი შეუწყოს სინათლეს! განქრით მოჩვენებანო! ჩვენ უკეთესი საშუალება გვაქვს ადამიანის მოსარჯულებლად, უფრო კარგი ღონისძიება ვიცით, რომ დამნაშავე გავასწოროთ დაბნელებული სინიდისი გავახსოვსნოთ, რომ ცოდვილს ცოდვა შევანანოთ. ჩვენა გვაქვს აზროვნება, განათლება, აღზრდის წესი, სარწმუნოებრივნი მაგალითნი, შრომა და შეწყალება და ნუ თუ საცა ასეთი ჭეშმარიტებაა, საცა ასეთი სიდიადე და დიდებულებაა მაინცა და მაინც ადამიანის სიკვდილით დასჯა უნდა მოხდეს! განა ძლევა-მოსილ ქალაქს, ადამიანთა ნათესავის შუა გულ ქალაქს, ქალაქს 14 ივლისისას და 10 აგვისტოსას, ქალაქს, რომელშიაც განისვენებენ რუსსო და ვოლტერი, რევოლიუციათა დედა-ქალაქს, აკვანს იდეისას ეყოლება გრევი, ს. ჟაკი და და ლა—რაკკეტი? განა არა კმარა ამდენი საშინელი უკუღმართობა? განა ცოტაა ამდენი უაზრობანი? განა კიდევ საჭიროა სხვა საშინელებანი? ნუ თუ კიდევ საჭირო დარჩა, რომ ამ კუნძულებზე, ფრიალო კლდეთა, ხეთა და ყვავილთა შორის, პოლიუსიდამ მონაბერ ღრუბელთა ქვეშე აგებულ იქმნას ეშაფოდი და მან განამტკიცოს აქ უფლება და ძლიერება თვისი? აქ? აქ, საცა მუდმივი გრიალია ქარისა, მუდმივი გრგვინვაა ტალღებისა, საცა ასე განმარტებულია უფსკრული და სიდიადე ბუნებისა! გაჰქრით, გაგვეცალენით! რა საქმე გაქვს, გილიოტინავ, პარისში, ან შენ, სარჩობელავ, პირისპირ ოკეანისა!

ღირსეულნო და კეთილშობილნო მეზღვაურნო ნუ გაიმეტებთ ამ ადა-

6. თვალების დაქანცვა დაღლილობას თუ ჰგრძნობ, შესწყვიტე მუშაობა და რამოდენსამე ხანს ფანჯარაში იცქირე, რომ თვალებმა დაისვენოს.

7. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ რამდენს ხანსაც შეიძლებოდეს გაუფრთხილდი თვალებს.

8. თუ თვალში ჩაგივარდეს რამე, სრესას ნუ დაუწყებ, მხოლოდ ფრთხილად თვალის ქუთუთოს თითი წაუსვი სიგრძეზე ცხვირისაკენ. თუ ამით თვალში ჩავარდნილი სხეული ვერ მოიშორო, ექიმს მიჰმართე.

9. თუ თვალები აგტკივდეს, ან თვალთა ხედვა დაგაკლდეს, აქიმს მოელაპარაკე; მხოლოდ იმას შეუძლია—სთქვას, საჭიროა შენთვის სათვალეები თუ არა; ისვე გირჩევს, მუდამ უნდა ატარო სათვალეები, თუ მარტო წერა-კითხვის დროს და, სახელდობრ, რომელის ნომრის სათვალეები მოუხდება შენს თვალებს.

### რა წესით უნდა შრომა-მეცადინეობა როდესაც ჰზიხარ.

1. ლამპარი ანუ ფანჯარა შენგან მარცხნივ უნდა იყოს.

2. წერის დროს სკამი ისე დაიდგი, რომ წინა კიდევ (სკამის) საჯდომის ფიცრისა სტოლს ქვეშ შედიოდეს თითქმის ერთს გოჯზე. ამასთანავე დასჯექ წელში გამართული, თავისუფლად, და გულის ფიცრითაც ნუ მიაწვები სტოლის კიდეს.

3. სკამის სიმაღლე ისეთი უნდა იყოს, რომ შენი იდაყვები და სტოლის ზედა-პირი ერთს სიმაღლეზე რჩებოდეს იატაკიდამ. თუ სკამი ძრიელ დაბალია (როგორც ეს ხშირად ჰხდება), ბალიში დაიდე სკამზე.

4. ფეხები იატაკზე უნდა გედგას; თუ იატაკს ფეხები არ სწვდება, იმ შემთხვევაში ქვეშ ამოიდგი რამე ფეხების დასაყრდონებლად.

5. ფეხი-ფეხზე გადადებული ნუ დაჯდები; აგრეთვე არც სკამს ქვეშ უნდა ჰქონდეს ფეხები მოკაკული.

6. სკამზე დასჯექ სწორედ, ზურგით-კი მიეყრდნე სკამის საზურგეს და თავს ნამეტნად წინ ნუ წაიხრი.

7. მკლავები იდაყვებამდინ სტოლზე გქონდეს; მარცხენა ხელი ქაღალდზე დაადევი და თან და თან რამდენიც ნაწერი ქვეითკენ იწევს, იმდენი ზევით ააჩოჩე ხოლმე ქაღალდი.

8. ქაღალდი დაიდევ წინ, გულისფიცრის გასწვრივ და ოდნავ მარჯვნივ მისწიე.

9. კითხვის დროს სკამი უკან დასწიე და წიგნი ორივე ხელებით ისე დაფერდებულად დაიჭირე, რომ იმის ზემო კიდე უფრო მაღლა იყოს ქვედაზე, რომელიც სტოლზეა დამყარებული.

10. წიგნი ხელში გეჭიროს 32 სანტიმეტრის ($7\frac{1}{5}$ ვერშოკის) მანძილზე თვალებიდამ.

11. მოსწავლე ქალები ეცადონ, რომ მათი იუბკა და სხვა ტანისამოსი სრულიად თანასწორად იყოს გადაფენილი (სკამის) საჯდომის ადგილზე; ამიტომ, როცა სკამზე ჯდებიან, არ უნდა გადიტან-გადმოიტანონ ხელით იუბკა მარცხნივ ან მარჯვნივ.

(დასასრული იქმნება)

## რუსეთი

აღდგომის მეორე დღეს ეკატერინოსლავში ხმა გაისმა, რომ ებრაელებს უნდა სცემონო. ნაშუადღევის ოთხს საათზედ ოსტროვის მოედანზედ დიდ-ძალი მდაბიო ხალხი, უფრო მუშა-კაცი და ხელოსანი, შეიყარა და ეტყობოდა, რომ რაღაცა ცუდი საქმე ჰქონდა განზრახული. ყველგან გაისმოდა: „სცემეთ ურიებს, ქრისტეს მწვალებლებს; „იმათთან ერთად მართლ-მადიდებელი როგორ ივაჭრებს“; „მთელის წლის განმავლობაში ჩვენს სისხლსა სმენ, ეხლა გადავუხადოთო“. ეს გადახდა პაწია ბიჭებმა დაიწყეს. შეცვივდნენ დუქნებში, იმათ უფროსებიც შეჰყვნენ და რამდენიმე დუქანი დაანგრიეს. მოვაჭრე-ქალები სცდილობდნენ თავის დაცვას, ხალხს არწმუნებდნენ, რომ ჩვენ, ებრაელები-კი არა, ყარაიმები ვართო, მაგრამ არავინ გაუგონა. მეორე ალაგას ებრაელი დაინახეს, რომელსაც ეტლით მხლისა, სელცერისა და სხვა წყალი მიჰქონდა, მისცვივდნენ, ეტლი დაუნაფოტეს, პოლიციელსაც მუშტებით ეძგერნენ და გააქციეს, რადგან მიშველება და დახსნა უნდოდა ებრაელისა. საღამოზედ, დაბინდდა თუ არა, ცხენოსანი პოლიციელები მოვიდნენ და ხალხი გაჰფანტეს. ხალხი დას-დასად განაწილდა და გაიფანტა ქალაქის ქუჩებში. დაანგრიეს ერთის ებრაელის ყავახანა, და რამდენისამე ებრაელისავე დუქანი. ერთი დუქნიდგან კასრით სავსე ნავთი გამოიტანეს, გახსნეს, დაასხეს ქუჩას ნავთი და ცეცხლი წაუკიდეს; ერთს პოლიციელს თავი გაუხეთქეს და ებრაელთა სახლებში დიდძალი ფანჯრის მინები ჩაამტვრიეს. ჯარის-კაცნი მოვიდნენ და ასამდე მეამბოხე დააპატიმრეს. გამძვინვარებული მეამბოხენი ყვიროდნენ: „ეს ცოტაა, ზოგი ხვალ ჰნახეთ; ბრიანსკის ქარხნიდგან 1,000 კაცი მოვა და მაშინ გაჩვენებთ ებრაელები სეირსაო„. ხოლო მეორე დღეს, ესე იგი აღდგომის მესამე დღეს, აღარა მომხდარა-რა, რადგან ამ ქარხანას ჯარი შემოერტყა და ქალაქში არავინ გაატარეს. ამ დღეს ბევრი დაპატიმრებული მეამბოხენი გაწკეპლეს და ისე გაისტუმრეს.

## უცხოეთი

**მცირე-ზომის თოფი.** „Frange Militaire“ იუწყება, რომ გერმანიის ჯარის მთავარმა—ექიმმა ფონ-კოლერმა უკანასკნელ სამკურნალო კონგრესზედ მოხსენება წაიკითხა, ახალ, ესრედ წოდებულ მცირე-ზომის თოფის შესახებ. აქამდე იმ აზრისანი იყვნენ, რომ ვითომ ეს თოფი უფრო ადვილად და სუბუქად სჭრის ადამიანსაო, მაგრამ, ფონ-კოლერის აზრით ეს ტყუილია—ექიმს კოლერსა და შვერნინგს უდევნებიათ თვალყური ახალის თოფის მოქმედებისათვის და დარწმუნებულან, რომ ამ თოფს მამაკვდინებელი ძალა აქვსო. მაგალითებრ, ოც-და-ორს კაცს მოხვედრია ამ თოფის ტყვია, რომელთა შორის 14 ს თითონვე სდომებია თავის მოკვლა ხოლო 8 უბედურების მსხვერპლი შექმნილა. ექიმები იმ დასკვნას დასდგომიან, რომ ახალის თოფის ჰრილობა უფრო მძიმეა და მომაკვდინებელი, ვიდრე ძველისა. თუ ახლოდგან არის ნასროლი, ტყვია ტანისამოსს ჰგლეჯავს და ჰრილობაში შეაქვს, ხოლო შიგ-კი ისეთს ნავნებსა შვრება, თითქო ყუმბარა გახეთქილიყოსო: ძვალს ამტვრევს და ასხვრევს, თითქოს დინამიტს დაეკუწოსო, ჰრილობა ძაბრსა ჰგავს, თავი, დასაწყისი ვიწრო აქვს, ხოლო ბოლო, დასასრული-კი განიერი. ეს ტყვია სამის ადამიანის სხეულს გაატანს ხოლმე და მეოთხეს გვამში რჩება; თუ დიდს ძვალში მოხვდა ადამიანს, ანადგურებს; თუ თავსა, კისერსა და მკერდში — იქავე ჰკლავს, თუნდა, თუ მკერდშია მოხვედრილი, გულიც არ დაეზიანოს. ამ მცირე ზომის თოფის ტყვია თუ მუცელში მოხვდა, სწორედ ანაკუწებს იქაურობას. ორთა შუა რიცხვით, თითო ტყვია, სულ ცოტა სამს ჰრილობას აჩნევს ადამიანს, სულ ბევრი—რვას. თუნდა 1,600 მეტრიდგანაც იყოს ნასროლი, ძვალს ამტვრევს და ამ ნამტვრევს ადამიანის სხეულში აბნევს.

როდესაც ადამიანსა ხვდება ეს ტყვია, სიცხელის მხრივ 700-ი; ერთი ერთმანეთზედ რომ გაიტენოს თოფი და დაიცალოს, უფრო ცხელდება ტყვია. ამას გარდა, ტყვია თითქმის ყოველთვის ადამიანის სხეულში თავის გარეგანს სახეს იცვლის და ხშირად-კი ნაჭერ-ნაჭერად იქცევა და აქეთ-იქით მხარეს სჭრის სხეულს, საზოგადოდ-კი რომ ვსთქვათ, ეს ტყვია უფრო მავნებელია ადამიანისა და მომაკვდინებელი, ვიდრე ძველი რგვალი ტყვია, რომელიც ისე არა სტანჯავს ადამიანს, როგორც ეს.

## ბიბლიოგრაფია

Любимовъ—професоръ Шарко, этюдъ, Спб. 1894 г.

რუსულს ენაზედ გამოვიდა ზემო აღნიშნულის სათაურით ბიოგრაფია გამოჩენილის საფრანგეთის მეცნიერის, პროფესორის შარკოსი. ამ წიგნიდან რწმუნდება კაცი, რომ შარკო, გარდა იმისა, რომ უსახელოვანესი და უნიჭიერესი მოღვაწე იყო სამეცნიერო ასპარეზზედ, ამასთან იგი უმწიკვლო, სამაგალითო ოჯახის კაციც ყოფილა. შარკო იყო დიდი მეცნიერი და ფილოსოფოსი, ხი-

---

მიანს სასიკვდინედ! ნუ მისცემთ ნებას სარჩობელას, რომ მან თავის ჩრდილით დააბნელოს თქვენი ტურფა და კურთხეული კუნძული! ნუ ჩააგდებთ თქვენ საგმირო და მიუწდომელს ზღვაში ამ საიდუმლო ნაწილს უბედურებისას. ხომ ხედავთ, რომ დღეს ადამიანთა უფლება ცდილობს მიითვისოს და დაისაკუთროს უფლება ღვთისა. ნუ იდებთ თავის თავზე ამ საშინელ პასუხის-გებას. ვინ იცის და ვის აუხსნია განგების საიდუმლონი? იცოდეთ, რომ როგორც ტალღებს აქვს უფსკრული, ისე აქვს ადამიანთა მოქმედებასაც. გაიხსენეთ ქარიშხლიან დღეში აბობოქრებული ზღვა, ზამთრის ღამეები, ბნელი და გამძვინვებული ძალა ბუნებისა, რომლითაც ზოგჯერ შეპყრობილი ხართ თქვენ. მოიგონეთ, რა მიუვალი და მიუდგომელია სერკის ნაპირები, რა დაუნდობელია მეწყვერის ალაგები, რა საშიშარია წყლის ქვეშა კლდეები Pater-Noster'a-სი. მაშასადამე ნუ გინდათ, რომ თქვენ იალქნებს სამარეთა ქარნი ჰბერავდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, მეზღვაურნო, ნუ დაგავიწყდებათ, მეთევზენო, ნუ დაგავიწყდებათ, მესაჭენო, რომ თქვენ მხოლოდ ერთის ფიცრით დაშორებულნი ხართ საიქიოსაგან; ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღე-მუდამ ტალღების ხელში ხართ, დღე-მუდამ ბედის წერაზე ხართ მინდობილნი. ხოლო ხომ იცით, რომ სიღრმე ტალღებისა არ გაიზომება და საიდუმლო ბედის წერისა არ იგულისხმება. ის, რასაც თქვენ შემთხვევას აწერთ, შეიძლება განგების ნება იყოს და აი როცა მუდმივ ბრძოლაში ხართ ზღვასთან და ჰაერის ცვალებადობასთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მუდამვე პირის-პირ სდგეხართ დაუსაბამოისა და მიუწდომელისათანა.

დაუსაბამო და მიუწდომელი ეს სამარეა.

ნუ გასთხრით თქვენ შორის თქვენისავე საკუთარის ხელით სამარეს!

ნუ თუ ხმები ამ დაუსაბამოისა არაფერს გეუბნება თქვენ? ნუ თუ ეს საიდუმლონი სხვა საიდუმლოს არ გაჩვენებენ თქვენ? ნუ თუ სიდიადე ოკეანისა სამარის სიწმინდეზედ არ ლაღადებს?

ზღვის ღელვის დროს, როცა ღამის ქარი სარჩობელაზე ჩამოკიდებულ კაცის გვამს დაუწყებს იქით-აქით ქანაობას, წარმოიდგინეთ, რა საშინელი იქნება ნახვა ამ ჩონჩხისა, რომელიც დასწყევლის და შეაჩვენებს თქვენს კუნძულს.

განა შეგიძლიანთ გულ-აუშფოთებლად გაიტაროთ გონებაში, რომ ის ქარი, რომელიც გრიალით დაჰბერავს თქვენ მიდამოს, შეხვდებოდა გზაში თოკს და თოკზე დაკიდებულ ადამიანის გვამს! მერე რა უნდა უთხრას ამ თოკზე ჩამოკიდებულმა მას?

არა, ნუღარ იქნება ამას იქით სიკვდილით დასჯა! ჩვენ შვილნი ამ დიდებულის საუკუნისა უარ ვყოფთ მას. ჩვენ არ გვინდა ის არც ბრალიანისათვის, არც უბრალოსათვის. ვიმეორებ, დანაშაული გამოისყიდება სინანულით და არა გამომაყურებულის თოკითა და ჯალათის ნაჯახით. სისხლი გაიბანება ცრემლით და არა სისხლითვე. არა, ნუ გაუჩენთ ჩვენ ჯალათს საქმეს! დეე თითოეულის თქვენგანის გრძნობა-გონებაში ჩანასკულ იქმნას ყოველივე ეს, დეე ყოველ პატიოსანისა და სასწორ-მართალის მსაჯულის სინიდისმა ისე გადასჭრას სამართალი, როგორც გვეუბნება ხმა ჩვენის სინდისისა. თუმცა დიდი დანაშაულია დარღვევა ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობისა, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ყველა ეშაფოდი მაინც დიდ დანაშაულის ჩამდენია. სიკვდილით დასჯის კანონ-დებულება—ეს ავაზაკია, დაუსჯელი ავაზაკი, რომელიც არჩობს და თავს სჭრის ადამიანს და რომელსაც ჩამოუფარებია შენი ნიღაბი, ჰოი მართლ მსაჯულებავ! ყველა ეშაფოდი ატარებს სახელს უბრალო მოწამეებისას. არა ნუღარ იქნება-მეთქი ამას იქით სიკვდილით დასჯა! ჩვენ კარგად ვიცით, რომ გილიოტინით თავი მოსჭრეს ლეზურკს ლურსმებიან ბორბალზე დახლიჩეს კალასი, ცეცხლში დასწვეს ჟანა დ' არკი, ათას ნაირად აწვალეს და ისე მოჰკლეს კამპანელლი, მრავალფერი ტანჯვით გამოათხოვეს წუთისოფელს ტომა-მორი, საწამლავით ბოლო მოუღეს სოკრატს და ჯვარს აცვეს ქრისტე!

თუმცა რაიმე საღმრთო და დიდებულია იმ სწავლაში, რომელიც ჰქადაგებს ძმობას, სიმშვიდეს და სიყვარულს და რომელიც ვრცელდება და დაეფინება დედამიწის ერთის კუთხიდამ მეორე კუთხეში, თუ იმ სიტყვას, რომელსაც სარწმუნოების სახელით ლაღადებენ ბაგენი ყოველთანი, რაიმე პატივისცემა აქვს; თუ დემოკრატია, რომლის შესახებაც მრავალნი ჰყვირიან, ლიტონი სიტყვა არ არის, თუ ძველი და ახალი აღთქმა მოგონილ-მოჰორებული ამბავი არ არის, თუ ეს იდეები მართალია, თუ ადამიანის შთამომავალი ძმები არიან ერთმანეთში; თუ ადამიანის სიცოცხლე პატივ-საცემია; თუ სული ადამიანისა უკვდავია; თუ მარტო ღმერთს აქვს უფლება წაგვართვას ის, რისაც მონიჭება მხოლოდ მას შეეძლო; თუ დედა, რომელიც გრძნობს მუცელსა შინა თვისსა შვილის მოძრაობას, კურთხეული არსებაა; თუ აკვანი საღმრთო საგანია; თუ სამარე სიწმინდეა; მკვიდრნო გერნსისანო, ნუ მოჰკლავთ მაგ კაცს!

მე გეუბნებით, ნუ მოჰკლავთ-მეთქი, რადგანაც, როცა შესაძლებელია კაცის კვლას ხელი შეუშალოს კაცმა და არ იქმს ამას, მაშინ ისიც კაცის მკვლელია.

ნუ გაგიკვირდებათ ჩემი დაჟინებული სიტყვები. ვიმეორებ, ნება მიბოძეთ სამშობლოდამ გაძევებულ კაცს, რომ მსჯავრ-დადებულს გამოვესარჩლო. ნუ ამბობთ: რა საქმე აქვს ჩვენთან ამ უცხოელსო? ნუ მეტყვით სამშობლოდამ განდევნილს: სად ეჩხირები, რა შენი საქმეა ესო? მე მონაწილე ვხდები უბედურებისა და ამაში სრული უფლებაცა მაქვს, რადგანაც ტანჯულ და დასჯილ ვარ. უბედურების მოსამძიმრე ტანჯვაა, დარდ-ვარამის თავ-შესაფარი განწირულებაა.

ამას გარდა ეს კაცი და მე, ჩვენ ორივენი ერთად ერთნაირის გულისტკივილით არა ვართ განა დაწყლულებულნი? განა თითოეული ჩვენგანი არ ეპოტინება იმას, რაც თვალთაგან გვეკარგება? მე სამშობლოდამ განდევნილი და ის სიკვდილით დასასჯელი განა ორთავეს დიდი დასაკარგი არა გვაქვს ქვეყანაზე—მას სიცოცხლე, მე-კი სამშობლო?

და აი საგანი, ღირსი დაფიქრებისა. დაბრმავება კაცისა, რომელიც სამშობლოდამ სდევნის კაცს და რომელიც სიკვდილით დასჯას უჩენს ადამიანს, იმდენად დიდია; წყვდიადი რომელიც გარს შემორტყმია ქვეყანას, იმდენად უშველებელია, რომ ჩვენ, საფრანგეთიდამ განდევნილნი დასჯილნი ვართ ჩვენის მოვალეობის შესრულებისათვის, როგორადაც ეს კაცი დასჯილია ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის. მართლ-მსაჯულება და უსამართლობა ხელი-ხელს აძლევს ერთმანეთს წყვდიადში.

უბედურებას, რომელიც ათას განსაცდელში და გაჭირვების ქარ-ცეცხლში ატარებს ადამიანს, ხანდახან მოულოდნელად კარგი შედეგიც მოჰყვება ხოლმე. შეიძლება, ჩვენმა სამშობლოდამ განდევნამაც რაიმე სანუგეშო მნიშვნელობაც მიიღოს.

თუ ჩემმა სიტყვამ უყურადღებოდ არ ჩაიარა, თუ ჩემი ხმა არ გაჰქრა ისე, როგორც ქარის შრიალი გაჰქრება აღელვებულ ზღვის გრიალში, თუ სიბრალულის თესლმა, რომელსაც გე ოთხ-კუთხივ ვაბნევ, თქვენს გ

ულ

ჭიერი მხატვარი და მწერალი. ამას გარდა, იგი იყო კაცთ მოყვარე და გულთბილი.

ბიოგრაფი განსვენებულისა ერთს ჩინებულ შემთხვევას მოგვითხრობს ამ წიგნში: ერთხელ შარკოს ცოლმა სადილზედ მკვახედ მოიხსენია თურმე ერთი თავის ქმრის მოშურნე მეცნიერი, რომელიც უმართებულოდ მოქცეულიყო გულ-უბრყვილო პროფესორის შესახებ.

შარკო დიდად შეწუხდა თავის ცოლის სიტყვების გამო და ასე უთხრა: გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, არ უნდა დაივიწყო, რომ ის კაცი ჩემთან ერთად ჭამსახურებს და კალდებული ხარ პატივისცე.

ავად არა ჰგავს ეს დამოკიდებულება გერმანელ და რუსთა ექიმთ დამოკიდებულებას ურთიერთ შორისო, ამბობს რუსული გაზეთი.

სამწუხაროდ, ესევე უნდა ვსთქვათ ჩვენ ქართველ მოღვაწეთ დამოკიდებულების შესახებაც ურთიერთ შორის.

ჩვენ ხომ საზღვარი აღარა გვაქვს— არც სიტყვა-პასუხში და არც წერაში, თუ-კი რომელიმე მიზეზით კაცი არ გვიყვარს, ან გვიშლის რასმეს!

ამ გვარის კაცის ნიჭი, ჭკუა, პატიოსნება, სწავლა და თვით შინაგანი სრულიად კერძო ცხოვრება ხომ საკიცხოდ და უბად-ასაღებად ხდება ჩვენგან!

მაგრამ კაცის სამტროდ ეს საშუალება არა სჭრის და მთელის თავის სიმძიმით ბრალდება, თავს ატყდება სიცრუის შემთხზველს და უმართებულო მოსაუბრეს და არა იმ საგანს, რომელიც ასე უწყალოდ არის ამოღებული მიზანში.

და ან ერთის, ორის კვირისთვისაო. ჰკითხა საღმრთო წერილის მასწავლებელმა მოსწავლეს გამოცდის დროს.

— იმიტომ, რომ ახალ-ახალი გამომცხვარი იყოს და არა გამხმარიო, უპასუხა მოსწავლემ.

**

ნამეტანი საშინელი წვიმა წამოვიდა, მასპინძელმა სთხოვა სტუმარს, რომ იმ ღამეს იქ დარჩენილიყო. სტუმარი თანახმა გახდა, მხოლოდ უცებ სადღაც დაიკარგა და ერთის საათის შემდეგ დაბრუნდა სრულიად დასველებული.

— სად იყავი, კაცოო? ჰკითხა გაკვირვებულმა მასპინძელმა.

— ჩვენსა წაველ, რომ შემეტყობინებინა ჩემი ცოლისთვის წვიმის გამო ამაღამ შინ ვერ მოვალ-მეთქი.

**

სამი ქალი მიდიოდა გზაზედ. შეხვდა ერთი ხუმარა კაცი და ჰკითხა:

— მამაჩემის რძლებო, სად მიბრძანდებითო?

— ჩვენს დედამთილს ერთად-ერთი შვილი მოჰკდომია და სამძიმრის სათქმელად მივდივართო, უპასუხეს ქალებმა.

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ნ. გამრეკელისაგან კავკავში სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ შეკრებილი 53 მანეთი, ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 577 მან. 19 კაპ., ამიანათ შესდგა 630 მან. 19 კაპ.

აი შემომწირველთა სიაც:

ე. გ. სიდამონ-ერისთავმ 5 მ., სტ. პოპოვი 3 მ., პ. პ—ი 3 მ., კ. არდაზიანი 3 მ., კაზალოვიანთ ძმ. 3 მ., არ. გრ. თათუზოვი 3 მ., ბ. ევანგულოვი 3 მ., დ. ზებედევი 2 მ., ნ. მაჭავარიანი 2 მ., გრ. მოზდოკელოვი 2 მ., ნ. გ—ი 1 მ. 50 კ., ლ. ბოცვაძე 1 მ., ლ. ხარაძე 1 მ., კ. გვარამაძე 1 მ., კარგარეთელი 1 მ., ახალოვი 1 მ., როგოვსკი 1 მ., ბ. ნავაპეთიანი 1 მ., ა. ნაუმოვი 1 მ., ა. კუბალოვი 1 მ., კ. კ. ჭელაძე მ. ლომიძე 1 მ., გ. მიკირტუმოვი 1 მ., ბ. ნაობიშვილი 1 მ., ივანე ჩითაევი 1 მ., ვ. მესხიევი 1 მ., მ. ჩიკვაიძე 1 მ., სიმონა მახარაძე 1 მ., ვანო ილურიძე 1 მ., ზაქარია კერესელიძე 1 მ., ადამ გედევანოვი 1 მ., გიორგი ჭონქოლაძე 50 კ., გიორგი თაუროვი 50 კ., პ. კახოვი 50 კ.,

# დეპეშა

5 მაისი

**პარიჟი.** ლიუტისიდგან იუწყებიან, რომ ანარხისტმა მიულლერმა აღიარა, რომ მართლა მინდოდა la Paix-ის ქ. ჩ. ზედ ყუმბარის სროლაო, და დაასახელა კიდევ თავისი ამხანაგები. ბევრნი იქმნებიან დაპატიმრებულნი. გაზეთების სიტყვით, პოლიციას მიუგნია ნამდვილ საერთაშორისო ანარხისტთა შეთქმულების კვალისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,44 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_2$ | $149^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $246^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $224^1/_2$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $191^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 101 | — ,, | — ,, |

# გასართობი

—

მამაო ჩვენო-ში რისთვის ვამბობთ, „მოგვეც ჩვენ დღეს პური“ და არა ხვალისათვის

---

ში ნიადაგი იპოვა და აღმოცენდა, თუ ჩემს ხმას, უცნობსა და დამარცხებულ ხმას იმდენი გავლენა დაურჩა, რომ თქვენი გული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად აღელვა, რომლის ნაყოფად შემსუბუქებული სასჯელი და მოხანული დამნაშავე უნდა იქმნეს, თუ მე, სამშობლოდამ განდევნილს, მივიწყებულსა და უსარგებლო კაცს ბედნიერება მექნება გათხრილ სამარეს ავეფარო, სიკვდილს გზა გადავუღობო და ერთის ადამიანის სიცოცხლე ვითავმდებო, თუ სასწორს სიკვდილ-სიცოცხლისას დავაძლევინებ სიკვდილს, თუ ჩემს სამშობლოდამ განდევნას ეს აზრი ექნება, თუ ეს იყო საიდუმლო მიზანი ჩემის კერის განადგურებისა და ამ კუნძულებზედ ჩემის ცხოვრებისა, იმ შემთხვევაში აღარ დავიტანჯები, არამედ მადლობით აღვაპყრობ ხელებს ზეცისკენ...

მკვიდრნო გერნსისანო! ამ ჟამად ჩემის ბაგით განათლება გეუბნება თქვენ, განათლებას გამოუშვერია თქვენსკენ ხელი. თუ რომ განდევნილი ბეკკარი იყოს ეხლა თქვენში გეტყოდათ: სიკვდილით დასჯა უკანონობააო; თუ რომ ექსორია ქმნილი ფრანკ ინი იჯდეს ეხლა თქვენ კერასთან, გამხელდათ, რომ ის კანონი, რომელიც სიკვდილით სჯის ადამიანს, დამღუპავი კანონიაო. თუ რომ ფილანტიერი, რომელიც კანონს ემალებოდა, ვიკო, რომელიც სამშობლოდამ განდევნილ იყო, ტურგო, რომელიც გადასახლებულიყო, მონტესკიე, რომელიც მამულიდამ გაძევებულიყო, სცხოვრებდნენ თქვენში გეტყოდათ, რომ ეშაფოდი საზიზღარიაო. თუ რომ იესო, ლტოლვილი კაიაფასაგან, მოსულიყო თქვენს კუნძულზედ ისიც გეტყოდათ: არ აღილოთ მახვილი მოყვასსა ზედაო. ნუ თუ ყველა იმათ ერთის კაცის სიცოცხლის გადარჩენაზედ უარს ეტყოდით!

განა ეს უარი ბოროტება და არარაობა არ იქნებოდა! თავისუფალმა და მორწმუნე ადამიანმა ყოველთვის იცის სიცოცხლის ფასი, იცის სიბრალული და შეწყალება. ეს სიბრალული ეს შეწყალება კანონში აქვს ჩანასკულ-ჩაქსოვილი და უარს ეუბნება მხოლოდ სირცხვილს, ძალ-მეომრობას და სიკვდილს.

ერთი სიტყვაც კიდევ და მე ვათავებ.

ისტორიის ამ წყეულ წუთში, ამ ბნელს წუთში, როცა ჩვენ ვცხოვრებთ, დეე ქვეყნაზე ერთი იმისთანა კუთხე მაინც დარჩეს, სადაც პროგრესს, ათას ალაგას დაჭრილისა და დაწყლულებულს, ქარიშხლის ანაბრად მიტოვებულს, ყველასაგან მოძულებულს, დამარცხებულს, შეეძლოს თავის შეფარება. ლა-მანშის კუნძულს, ენავთსაყუდლე ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში დასაღუპად განწირულ იმ დ ოს, როცა აღმოსავლეთი და დასავლეთი იბრძვის მეფეთა ჟინის გამო, იმდროს, როცა ყოველი მხარე ქვეყნის სივერაგისა, ძალ-მეომრობისა, სიყალბისა და პატივმოყვარეობის ასპარეზზად გადაქცეულა, იმ დროს, როცა დიდრონი სახელმწიფონი წვრიმალნ ანგარიშებში ჩაფლულან, თქვენ, პატარა მხარენო, გამოიჩინეთ დიადნი მაგალითი. დეე თქვენის ცქერით მაინც დასტკბეს თვალი ადამიანისა.,

დიახ, ამ წამში, როცა ერთის მიზეზით ადამიანთა სისხლი ნაკადულად ქცეულა, ამ წამში, როცა ყოველი მხარე ომის ცეცხლით, ათას გვარს საშინელებით და დანაშაულით მოცულა, აქ, ქვეყნის ამ ერთ კუთხეში მაინც გავხდეთ მოწამე იმ სანუგეშო სანახავისა, რომ პატარა ერს შეემუსროს ეშაფოდი დეე ყოველგან ჰმეფობდეს ომი აქ-კი ჰსუფევდეს მშვიდობა! დეე სხვაგან ბარბაროსობა იყოს, აქ-კი განათლებამ დაიდგას ტახტი! დეე სხვაგან სიკვდილი ბრძანებლობდეს, თუ ასე ძალიან უნდათ ის მეფეებს, ხოლო აქ სიცოცხლე სდუღდეს! იმდროს, როცა მეფეებმა ევროპა აქციეს ცირკად, საცა ადამიანნი ვეფხსა და აფთარსავით განძვინებული დასევიან ერთმანეთს და გლეჯენ, იმდროს მეთქი გერნსის ხალხმა თავისი კლდე-ს ლები აქციოს კვარცხლბეკად და საკურთხევლად: კვარცხლბეკად კაცობრიობისა და საკურთხევლად ღვთისა.

ლ. წულაძე

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა— ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. ტფილისში
გამ. ბ-ნ ზაქ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.
„კრებული
არითმეტიკის ამოცანებისა“.
შედგ. ა. ნატროშვილის-მიერ.

ეს წიგნი მოწონებულ იქმნა, როგორც სახელმძღვანელო, უწმინდესის სინოდისაგან და აგრეთვე სამოსწავლო საერო მთავრობისაგან.

ფასი 35 კოპ.

ხოლო ვინც, ნაღდს ფულზედ, ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა 30 კაპეიკად.

(5—4)

---

“ქართული თეატრის არტისტების მოგზაურობა“

ტფილისის ქართულ თეატრის ამხანაგობა
კალერ. გუნიას გამგეობით
გამართავს რამდენსამე წარმოდგენას
1 მაისიდგან
ქალ. ფოთსა და ბათომში.

დასს შეადგენენ: კნ. ბარბარე ავალიშვილისა, ბარბარე მაქსიმიძისა, ნატ. რჩეულიშვილისა, ბ-ნნი კონ. ყიფიანი, ვლად. ალექსივ-მესხიშვილი ვასილ აბაშიძე, ვალ. გუნია, სვიმ. სვიმონიძე კონსტ. შათირიშვილი, გრიგ. აბაშიძე, კონსტ. გალუსტოვი, ალექს. თამაზიშვილი და სხვანი.

რეპერტუარი: და-მმა ისტ. დრამა მეგრელთ ცხოვრებიდგან 5 მოქ. ვალ. გუნიასი, გაწვრთნილი ცხოვრება კომ. 4 მოქ. გადმოკ. ივ. კერესელიძისაგან, სტუმარი დრამა 4 მოქ. ბრანდესისა, ცხოვრება დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვ. გუნიასი, ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში, კომ. ფარსი 3 მოქმედ. გიორგი აბაზაძისა, შეშლილია დრ. 3 მოქ. თარგ. აბაშიძისა, კაის გაკეყარე კუის შეკეყარე ფარსი 3 მ. 1 ვოდევილები: ხოლერობა, ახირებულია, დატრიალდა ჯარა, არც აქეთ არც იქეთ, და სხვა.

ადგილების ფასი 3 მან. მო[illegible]ლებული ვიდრე 50 კაპეიკამ[illegible].

ბილეთების მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ ამხანაგობის ხაზინადარს თავ. ნიკ. დავ. აბაშიძეს.

ამხანაგობის გამგებელი ვალ. გუნია

(5—4)

---

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
სადამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—191)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Мая 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.